ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახვილი

N 1

თებერვალი

1990

საქართველოს დემოკრატიული პარტიის გორის კომიტეტი

1990 წლის 11 თებერვალს ქ.გორში ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის გორის კომიტეტის დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი გიორგი ზუმბაძე, სდპ თბილისის მთავარი კომიტეტის წევრები: ვასილ ჭყოიძე და ტარიელ ტარიელაშვილი.

კრებამ მოცემულ ეტაპზე საჭიროდ არ მიიჩნია სდპ გორის კომიტეტში გამგეობის ან თავმჯდომარის არჩევა. დაისახა სდპ გორის კომიტეტის მუშაობის გეგმა უახლოესი პერიოდისათვის.

ღღეიდან ვიწყებთ ახალი არაპერიოდული გაზეთის "დანახვისი"-ს გამოცემას. მას გამოსცემს საქართველოს დემოკრატიული პარტიის გორის კომიტეტი.

პარტიის მიზანია სამართლებრივი, მშვიდობიანი, პოლიტიკური ბრძოლის გზით საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და ისტორიული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოში დემოკრატიული, მრავალპარტიული წესწყობილების დამყარება.

საქართველოს დემოკრატიულ პარტიაში დაწესებულია წევრობის სამი სტატუსი; პარტიის მუდმივი წევრის, მუდმივი წევრობის კანდიდატის და პარტიის თავისუფალი წევრის.

სდპ თავისუფალ წევრად შეიძლება მიღებული იქნას საქართველოს ყველა სრულწლოვანი პატრიოტი განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და დაკავებული თანამდებობისა.

სდპ არ სცნობს საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას საქართველოში. იგი ფართო აგიტაციას უწევს იურიდიული დაუმორჩილებლობის იდეას, რაც გამოიხატება საბჭოთა მოქალაქეობის უარყოფაში. სდპ. მუდმივი წევრები აკეთებენ განაცხადს საბჭოთა მოქალაქეობის დატოვების შესახებ და საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე რჩებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად.

ჩვენი გაზეთის მიზანია მკითხველს მიაწოდოს გაუყალბებელი ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. გაზეთში გაშუქებული იქნება ჩვენი ქალაქის საჭირბოროტო პრობლემები და შეგვიძლებით შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მივიღოთ მათი დადებითად გადაწყვეტის საკითხში.

გაზეთი გპირდებათ რომ დიდ როლს შეასრულებს ჭანსაღი, ნამდვილად ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის საქმეში.

ჩვენ ცალკე რუბრიკად გამოვყოფთ მკითხველების წერილებზე აგებულ ინფორმაციასაც, ამით მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა მოგვაწოდოს თავისი აზრი და შენიშვნები. ველით თქვენს გამოხმაურებას.

პოიკოტი არჩევნებს!

ახლოვდება საქართველოში "დემოკრატიული" საბჭოთა არჩევნები. რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ შემოგვთავაზა ახალი სპექტაკლი, რომელსაც "დემოკრატიული არჩევნები" ჰქვია და რომელშიც რეჟისორის დიქტატის ქვეშ საქართველომაც უნდა ითამაშოს პატარა, ეპიზოდური როლი. ეს სპექტაკლი საჭიროა იმისათვის, რომ დასავლეთში შექმნან იმის ილუზია, თითქოს საბჭოთა კავშირი მთლიანად გარდაიქმნა სამართლებრივ სახელმწიფოდ. ჩვენ ყველანი, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საქართველოს მომავალი ბედ-იღბალი, წინუნდა აღვუდგეთ კრემლის ამ სურვილს, შექმნან დემოკრატიული არჩევნების ილუზია. საქმეში ჩაუხედავი კაცი შეიძლება შემედავოს, სად დასავლეთისათვის გამიზნული სატყუარა და სად საქართველოს ბედ-იღბალით, მაგრამ ეს ასე რომ არ არის, ამის დამტკიცებას შევეცდები.

ყველასათვის ცნობილი ფაქტია 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მეცხრე და მეთერთმეტე არმიების მიერ, რომლებსაც რენეგატი ქართველები შემოუძღვნენ. ამ დიდმა "მამულიშვილებმა"/გვარების ჩამოთვლას აღარ მოვყვები, ისედაც ყველასათვის ცნობილია/ შულავერში თავი გამოაცხადეს საქართველოს კანონიერ მთავრობად და დასაბამი ჩაუყარეს რუსეთის კომუნისტური იმპერიის დიქტატურას საქართველოში. დღეს არსებული საქართველოს მთავრობა პირდაპირი შთამომავალია შულავერში შექმნილი არაკანონიერი მთავრობისა და აქედან გამომდინარე თვითონაც არაკანონიერია. ამ 70- წლის მანძილზე საქართველოს ჰქონდა სუვერენული რესპუბლიკის სტატუსი, მაგრამ არც ერთი დღე არ ყოფილა სუვერენული. ჰყავს მთავრობა, მაგრამ ეს არის მარიონეტული მთავრობა, რომელიც მხოლოდ კრემლის ინტერესების გატანას ცდილობს, ხოლო ერის სასიცოცხლო ინტერესები იგნორირებულია. საქართველოში კრემლს ტოტალიტარული რეჟიმით დაქვემდებარებული ჰყავს მარიონეტული ხელისუფლება და არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ კვლავ არ დაიქვემდებარებს ვითომდა დემოკრატიული გზით არჩეულ ადგილობრივ მთავრობას. საქართველოს ახლად არჩეული საბჭოთა მთავრობა ვერ შეასრულებს ქართველი ხალხის ნებას, აღმოჩნდება პრინციპულ წინააღმდეგობაში ერთმანეთან და თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად იძულებული გახდება კრემლს სთხოვოს დახმარება. "უფროსი ძმაც" რა თქმა უნდა დახმარების ხელს გაუწვდის "უმცროსს" და ამის სანაცვლოდ მოსთხოვს განახორციელოს ყოველივე ის, რაც მას დასჭირდება ქართველ ერზე ბატონობის შესანარჩუნებლად.

საბჭოთა ხელისუფლების განცხადებები" დემოკრატიული" არჩევნების, "კარგი" საბჭოთა დეპუტატებისა და "საბჭოთა პარლამენტის" შექმნის შესახებ არის ხალხის მოტყუების, თვალის ახვევის მორიგი ცდა. თუ ჩატარდა საქართველოში საბჭოთა არჩევნები, მაშინ ქართველი ერი დიდი საფრთხის წინაშე დადგება. მოხდება ქართველი ერის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების აღიარება ე.ი. უკანონობის კანონიერი გზით დამტკიცება. ამის შემდეგ რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ საქართველო 1921 წელს დაპყრობილი იყო რუსეთის მიერ, საერთაშორისო სამართლის წინაშე, აღარ გვექნება არგუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამრიგად, არჩევნების ბოიკოტით ქართველი ხალხი იტოვებს სრულ შანსს საერთაშორისო სამართლის დახმარებით წარმატებით იბრძოლოს დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ, მოგიწოდებთ ყველა ქართველს, საქართველოს ყველა პატრიოტს, ბოიკოტი გამოვუცხადოთ უზენაესი საბჭოს არჩევნებს. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ბოიკოტის გამოცხადება პასიური ხასიათის მატარებელი აქცია იქნება და საჭიროდ მიგვაჩნია ჩატარდეს ალტერნატიული არჩევნები. ასეთი არჩევნების ჩატარებისათვის საჭიროა არჩევნების კანონის არსებობა, რომელიც დამტკიცებული იქნება საერთო სახალხო რეფერენდუმზე. დემოკრატია განუყოფელია თავისუფალი არჩევნებისაგან, ხალხის ნება ყველა ორგანიზაციის პოლიტიკურ ნებაზე მაღლა დგას.

თანამოქალაქენო, საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელით მოგიწოდებთ აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოთ არჩევნებს და ხმა მისცეთ ეროვნულ სათათბიროს, რომელიც იქნება მრავალპარტიულ სისტემაზე აგებული ორგანო, რომელსაც სრული იურიდიული და მორალური უფლება ექნება თავს ეროვნული პარლამენტი უწოდოს.

საბანაძე ზაზა.

კონსოლიდაციის გზით

შვიდი ათეული წელიწადია რაც საქართველოში ბოლშევიკურ იმპერიაში არ ყოფილა ეროვნული მოძრაობის ისეთი აღმავლობა, როგორიც ამჟამადაა. დიდი ხნის რეპრესიებისა და დევნის შემდეგ ეროვნული მოძრაობის საფთავეში მოექცნენ და გაერთიანდნენ ის პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც არ სცნობენ ამჟამინდელ მარიონეტულ მთავრობას და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებენ ყველა ანტიეროვნულ ძალას ყოველმაგვარი ხედავს საკუთარ გზას ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთ უმთავრეს სასიცოცხლო პირობას წარმოადგენს ოპოზიციური, შეურიგებელი ძალების კონსოლიდაცია. ძალთა დაქსაქსულობა ერთ-ერთი სენია თავისუფლებისაკენ მიმავალი ერისა. მას გაურკვევლობის, დაბნეულობისა და გულის გატეხვის მეტი არაფერი მოაქვს ხალხისათვის.

ნაძალადევად გაერთიანებული იმპერია უფსკრულისაკენ მიექანება, მაგრამ მას ჯერ კიდევ რეალური და საშიში ძალა აქვს. ის მუდამ მზად არის ეროვნული მოძრაობა ერებს შორის კომფლიქტად და ნამდვილ ომად გადააქციოს. მზად არის ჩვენი ყოველი აუწონავი და გაუთვალისწინებელი მოქმედება გამოიყენოს, მოაწყოს პროვოკაცია, რასაც შემდგომში "ეროვნულ უმცირესობებსა" თუ "ერებს შორის კონფლიქტს დაარქმევს" და შესანიშნავი საბაბი მიეცემა ეროვნულ მოძრაობასთან ანგარიშსწორებისა. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ არ მივცეთ კრემლს ფორმულის" გათიშე და იბატონე"-ს გამოყენების საშუალება.

საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება შემოქმედებით უნარსა და ნიჭს არ იშურებს, რათა ეროვნული მოძრაობა მისგანვე ნაკარნახევ კალაპოტში წარმართოს. თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ადვილად მართვადი გახადოს. ცდილობს ეროვნული მოძრაობა თავის თავზე აიღოს და ჩამოაშოროს ვეშმარიტ მამოძრავებელ ძალებს. ძალებს რომელთა სიმრავლე კი არა, არამედ მათი ერთიანობაა მისთვის საშიში.

ვერავის იმედად ვერ დავრჩებით, თუ არა საკუთარი ძალისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობით გაიმარჯვებს და რომელმაც საბოლოოდ უნდა მიგვიყვანოს ერთიან, თავისუფალ საქართველომდე.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის გორის კომიტეტის სახელით მოვუწოდებ გორში არსებულ ყველა არაფორმალური ორგანიზაციების ფილიალებსა და რეგიონალურ კომიტეტებს, რომ ერთიანი ძალებით ვიბრძოლოთ ქალაქში ეროვნულ- განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ნაირა ლობჟანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს თუ არა საზღვარი ყვავილობას?

ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ გავითვალისწინებთ იმას რაც ხდებოდა და ხდება ისტორიულ სამაჩაბლოში, საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პარალელურად გააქტიურდა ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილის მოქმედება "ადამონ ნიხასის "მეთაურობით. დაიწყო აშკარად აბსურდული და უკანონო მოთხოვნების წამოყენება, ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთება და ჩრდილოეთ ოსეთთან ან- უფრო სწორად რუსეთთან შეერთება. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ ოსი ერის გადარჩენისთვის ზრუნვას. ყველამ კარგად იცის, მათ შორის "ადამონ ნიხასის" თავკაცებმაც, რომ ოსმა ხალხმა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, განსხვავებით ჩრდილო ოსეთისაგან, შეინარჩუნა თავისი ენა, ეროვნული კულტურა, სკოლა, თეატრი, უმაღლესი სასწავლებელი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ოსი ერის, ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ერის, ქართველების მიერ დისკრიმინაციაზე ლაპარაკი უაზრობაა და სიცრუე.

მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყანაზე უმიზეზოდ არაფერი ხდება. ვისთვის არის ხელსაყრელი ქართველ და ოს ხალხს შორის მტრობა? არის ერთად -ერთი ძალა რომლისთვისაც აუცილებელია ხალხებს შორის მტრობა. ეს არის მოდიფიცირებული, გარდაქმნასა და საჯაროობას, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზაციის ნიღაბს ამოფარებული რუსეთის, კომუნისტური იმპერია. იმპერიის შენარჩუნების ყველაზე კარგი საშუალება არის დაპყრობილ ხალხებს შორის მტრობის ჩამოგდება. როგორც კი დაიწყება ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის, აღმავლობა კრემლი მარჯვედ იყენებს მის მიერვე ხელოვნურად შექმნილი ტერიტორიული, რელიგიური და ეთნიკური პრობლემებს, ხოლო დევიზის "გათიშე და იბატონე" ეფექტურობა ყველასთვის ცნობილია. ამასთან ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასების პოლიტიკური გაუნათლებლობა, რასაც ყოველნაირად ხელს უწყობს ხელისუფლება. ამიტომ აუცილებელია ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისთვის, რომ ხალხმა გაიგოს, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე, რომ ეთნიკურ კონფლიქტებში ჩაბმა საკუთარი ინტერესების ღალატია. მხოლოდ სუვერენულ და დემოკრატიულ ქვეყნებს შეუძლიათ მათ შორის არსებული უთანხმოების დიპლომატიური გზით გადაჭრა. სხვა გზა არ არსებობს, ყოველგვარი კონფრონტაცია დამღუპველია.

მხოლოდ ქართველ და ოს ხალხს შეუძლიათ მათ შორის წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება ვინმე მესამე მხარის დახმარების გარეშე. პრობლემები მართალია დაგროვდა ცენტრალური და ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლების მიერ ხალხის უფლებების უგულებელყოფის გამო. ამ პრობლემების მოგვარება აუცილებელია და რადგანაც ჩვენ ორ ერს, ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ ოს ხალხს საერთო ისტორია და საერთო სამშობლო - საქართველო გვაქვს, მხოლოდ სუვერენულ დემოკრატიულ საქართველოშია შესაძლებელი ამ პრობლემების სამართლიანი გადაჭრა.

ვერ იქნება ხალხი თავისუფალი დაპყრობილ სახელმწიფოში, ასევე წარმოუდგენელია თავისუფალი სახელმწიფო თუ პიროვნულად თავისუფალნი არ იქნებიან მისი მოქალაქენი, განურჩევლად ერისა, სქესისა და სარწმუნოებისა. ამიტომ მოგიწოდებთ ყველას ვისაც სურს საქართველოს თავისუფლება დაივიწყოთ პირადი წყენა, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს და ყველა ძალა ვიხმაროთ კრემლის, იგივე რუსეთის, იმპერიის მონობისგან თავის დასაღწევად.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს!

ჩვენი ბრძოლა სამართლიანია.

ჩვენთან არს ღმერთი!

ილია პეტრიაშვილი

ქრონიკა

23 იანვარს ქ.რუსთავში საქართველოს დემოკრატიულ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და რუსთავის IV დასის/ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის/ ინიციატივით გაიმართა სოლიდარობის მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს 20-21 იანვრის სისხლიანი აქცია.

სიტყვაში გამოსული ქართველი და აზერბაიჯანელი ორატორების გამოსვლაში მკაფიოდ გამოიკვეთა მოწოდება - გაერთიანებისაკენ, საბჭოთა ხელისუფლის წინააღმდეგ საბრძოლველად. ორატორები მოუწოდებდნენ შერიგებისაკენ და სომხეთ- აზერბაიჯანის კონფლიქტის შეწყვეტისაკენ.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს შემდეგი სახის რეზოლუცია:

1. ვუცხადებთ თანაგრძნობას საოკუპაციო ჯარების მიერ დახოცილთა ოჯახის წევრებს ღა ნათესავებს.
2. ბრალს ვდებთ და ვგმობთ მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის იმპერიალისტურ პოლიტიკას.
3. ვუცხადებთ სოლიდარობას ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.
4. მოვითხოვთ საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიიდან და საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენას.
5. მოვითხოვთ სისხლისღვრაში დამნაშავეთა დასჯას.
6. მოვუწოდებთ კავკასიის ყველა ერს გაერთიანებისაკენ. მოგიწოდებთ ერთად ვიბრძოლოთ საერთო მტრის- კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტს

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს- გორბაჩოვს

---

26 იანვარს თბილისში ზემო ვეძისის დასახლებაში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი 20-21 იანვარს ბაქოში საოკუპაციო ჯარების მიერ მხეცურად დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის საპატივსაცემოდ.

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წერმომადგენლებმა თავისი გამოსვლაში აღნიშნეს, რომ 9 აპრილის და 21 იანვრის სისხლიანი თარიღების ავტორი- კრემლი, ყველა ღონეს ხმარობს, რომ დაუნდობლად ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კავკასიის რეგიონში, ცდილობს დათესოს უნდობლობა და მტრობა მეზობლად მცხოვრებ ერებს შორის.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრები- ალინიშნა ერთიანი კავკასიური ფრონტით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრების აუცილებლობა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ყოველგვარი კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

მიტინგის დამთავრების შემდგომ მომიტინგეთა ნაწილი გამოემართა მთავრობის სასახლის წინ, სადაც აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის წერმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს 9 აპრილს დალუპულ წმინდანთა მემორიალი და თავის დახრით პატივი სცეს დალუპულთა ხსოვნას.

კომენტარი: უკანასკნელი დღეების მოვლენები ამიერკავკასიაში ცხადყოფენ, რომ კავკასიის ხალხებმა კერძოდ ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა უნდა დაძლიონ ხელოვნურად შექმნილი, ძნელად გადასალახავი უნდობლობის ბარიერი. ფაქტიურად ამ ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები ურთიერთიზოლაციაში იმყოფებიან და დამოუკიდებლად ვითარდებიან. სომხეთ- აზერბაიჯანის კონფლიქტმა არა მხოლოდ სომხეთის და აზერბაიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები ჩამოაშორა და დაუპირისპირა ერთმანეთს არამედ საქართველოს ეროვნული მოძრაობაც იზოლაციაში მოაქცია.

---

16 თებერვალს ქ.გორში კომბინატის კლუბის შენობაში გაიმართა შეხვედრა ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან. შეხვედრას უძღვებოდა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის- IV დასის თავმჯდომარე - გიორგი ჭანტურია.

---

18 თებერვალს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში გაიმართა მიტინგი. მიტინგში მონაწილეობას ღებულობდნენ: კონსტიტუციურ- მონარქისტული პარტიის და საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები.

23 თებერვალს მთავრობის სასახლის წინ-საქართველოს დემოკრატიული პარტიის ინიციატივით დაიწყო ღიდი საპროტესტო აქცია.

დილის 12 საათზე გაიმართა 1921 წლის 23 თებერვალს ბოლშევიკურ ურდოებთან უთანასწორო ბრძოლაში ალუპული ქართველი იუნკრების პარაკლისი, რომელიც ჩაატარა მამა ელიზბარმა. პარაკლისის შემდეგ მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა სოპ მთავარი კომიტეტის წევრმა ვაჟა მთავრიშვილმა. აქციის ცენტრალური თემა იყო საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი და სსრკ მოქალაქეობის ღატოვება. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ეროვნული- დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია უერთდება სსრკ მოქალაქეობის უარყოფის პროცესს, როგორც ცნობილია საქართველოს დემოკრატიული პარტიის ყველა მუდმივმა წევრმა და მათთან ერთად რამდენიმე ასეულმა მოქალაქემ ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში დაიწყო იურიდიული დაუმორჩილებლობის გამოცხადება და გააკეთა განაცხადი სსრკ მოქალაქეობის ღატოვების შესახებ. შემდგომ მოეწყო საპროტესტო მსვლელობა ამიერკავკასიის სამხედრო შტაბისაკენ, რომლის ინიციატორიც იყო ეროვნულ- დამოუკიდებლობის პარტია.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრების და აგრეთვე მომიტინგეთა ერთი ნაწილი შეუერთდა მსვლელობას. მიტინგი მთავრობის სასახლის წინ გაგრძელდა.

საღამოს ექვსი საათისათვის მსვლელობის მონაწილენი დაბრუნდნენ მთავრობის სასახლესთან. საქართველოს დემოკრატიული პარტიის და ეროვნულ- დამოუკიდებლობის პარტიის წევრებმა კვლავ მოუწოდეს იქ შეკრებილ საზოგადოებრივობას დაეტოვებინათ სსრკ მოქალაქეობა და ბოიკოტი გამოეცხადებინათ საბჭოთა არჩევნებისათვის. აქვე დაიწყო აწკეტა- ფორმა №1-ის შევსება რომლის შინაარსიც აერთიანებს, როგორც სსრკ მოქალაქეობის ღატოვებას ასევე ოფიციალური არჩევნების ბოიკოტის იდეას.

საღამოს აქციას შემოუერთდა მონარქისტული პარტია. მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აკაკი ასათიანმა შეკრებილთ მოუწოდა არჩევნების ბოიკოტისაკენ. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას საკავშირო ფედერაციიდან გასვლის შესახებ და დაგმო ისინი ვინც საკუთარი ჯიბის ინტერესებს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. ხაზი გაუსვა ამ აქტის დიდ პოლიტიკურ და მორალურ მნიშვნელობას. აქციას შემოუერთდა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა- ალორძინების პარტია/თავმჯდომარე-გიორგი ცხვედაძე/ მიტინგი მიესალმა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრს ვახტანგ ტალახაძეს. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს დემოკრატიული პარტიიდან თენგიზ შარმანაშვილი და ვაჟა მთავრიშვილი, ეროვნულ -დამოუკიდებლობის პარტიიდან- ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბაციაშვილი და გია თვალავაძე, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან- გია ბურჯანაძე.

23 თებერვალს ფორმა №1 შეავსო 2000 -მდე მოქალაქემ. 26 თებერვლისათვის მათი რიცხვი -5000-მდე გაიზარდა.

---

25 თებერვალს ქ.გორში წმ.ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალის ინიციატივით მოეწყო სამგლოვიარო მსვლელობა. მსვლელობას შეუერთდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის გორის კომიტეტი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის/IV -დასის/ გორის კომიტეტი. შემდგომ ქალაქკომის შენობის წინ გაიმართა საპროტესტო მიტინგი. გამომსვლელებმა წმ.ილია მართლის გორის ფილიალის გამგეობის წევრმა შალვა ცომაიამ და გიორგი ჩეჩელაშვილმა დაგმეს 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური აგრესია. შეკრებილი მიესალმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის/IV -დასის/ გორის კომიტეტის წარმომადგენელი. საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა შეკრებილთ მოუწოდა დაეტოვებინათ სსრ კავშირის მოქალაქეობა და ბოიკოტი გამოეცხადებინათ საბჭოთა არჩევნებისადმი, მან დაგმო კოლაბორაციონიზმი და ხაზი გაუსვა ე.წ. " პარლამენტური" გზით ბრძოლის აბსურდულობას. მიტინგში მონაწილეობას იღებდნენ გორის სახალხო ფრონტის წარმომადგენლებიც.

ნომერი მოამზადეს: ვაჟა საბანაძემ, ილია პეტრიაშვილმა, ნაირა ღიბუანიძემ, ჰამლეტ ჟიჟიაშვილმა
შენიშვნებისათვის დაგვირეკეთ:
ტ.2-37-41 საბანაძე ვაჟა